ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

საბჭოს სხდომა #21

2018 წლის 9 ივლისს გაიმართა ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მორიგი, რიგით ოცდამეერთე შეხვედრა. სხდომას ესწრებოდა 11 დელეგატი. სხდომას ხელმძღვანელობდა საბჭოს თავმჯდომარე ქ.-ნი ლელა კეთილაძე.

დღის წესრიგი:

1. ბაღების გაერთიანების სისტემა - მუშაობის ხარვეზები, პრობლემის აღმოფხვრის გზები.
2. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ცენტრის პრეზენტაციის მომზადება და დეტალების შეთანხმება.
3. სხდომის შეჯამება.

2018 წლის 9 ივლისს დელეგატებმა იმსჯელეს ბაღების გაერთიანების სისტემაზე, მისი მუშაობის ხარვეზებზე და პრობლემის აღმოფხვრის გზებზე. შეხვედრაზე გადაწყდა მოხდეს ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელთან შეხვედრა და მხოლოდ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მომზადდეს რეკომენდაციები ქ. რუსთავის მერისათვის წარსადგენად.

ასევე მეორე საკითხად სხდომაზე განიხილეს ,,ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ცენტრის“ შესახებ პრეზენტაციის მომზადების დეტალები. საბჭოს მიერ მოხდა ყურადღების გამახვილება თემის ირგვლივ ყველა მნიშვნელოვან საკითხზე. შემუშავდა სტრუქტურა და სტრატეგია. დამტკიცდა პრეზენტაციის საბოლოო ვერსია და მომზადდა ქალაქის ხელმძღვანელი პირების წინაშე წარსადგენად.

შეხვედრის დასასრულს მოხდა სხდომის შეჯამება. ხოლო მორიგი სხდომა ჩაინიშნა 16.07.2018 წ. საღამოს 19:00 სთ-ზე. დღის წესრიგს წარმოადგენს ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან შეხვედრა და ,,ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ცენტრის“ პრეზენტაცია.

საბჭოს მდივანი

ნუკრი რამიშვილი

რუსთავი, საქართველო 09.07.2018 წ.